საქართველოს მთავრობის

დადგენილება №472

2022 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ივლისის №348 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 07/07/2022, 300160070.10.003.023559) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 მუხლი:

„**მუხლი 3.** დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2^1 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2023 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**